დამოუკიდებლობის 6 თვე (ქართული პრესის შეფასებები)

დამოუკიდებელი საქართველო

ნახევარი წელიწადი შესრულდა ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან. ნახევარი წლის ჩვილია ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, მაგრამ მას უკვე უჩანს ნიშნები საღი ზრდისა და ძვალის გამაგრებისა. რამდენი მტერი გინდა, რომ მას არ ჰყავდის. მგონი იმდენი თმაც არ იქნება თავზე. მას ყველა მხრიდან ებრძვიან. შინ და გარეთ, რეაქციონერი და „სოციალისტი“, ავი და კარგი...

რა დააშავა ამ პატარა რესპუბლიკამ? რათ აუხირდენ მას ასე გააფთრებით ეს მტერნი და „მოყვარენი“?

მიზეზი ბევრია. მარა მთავარი ისაა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არ გავს სხვა მეზობლებს. ეს შეგვიძლია თამამად და გულახდილათ გავაცხადოთ. იგი პირველ ყოვლისა მართლა დემოკრატიული ქვეყანაა. როცა მის გარშემო თვალუწვდენელ რუსეთის სივრცეზე დემოკრატიულ დაწესებულებებს სპობენ და ანგრევენ, იგი ასეთებს აშენებს. რუსეთს ერობა წარსულის სიზმრათ გადაქცევია, ჩვენთვის კი ის მომავალი იმედია, რუსეთში ანარქია და განუწყვეტელი სისხლის ნაკადულთა დენაა, ჩვენში კი წესიერ სახელმწიფოს სახე გვაქვს მიღებული.

ზოგს ის არ უჯდება ჭკუაში, რომ ჩვენ ევროპის დემოკრატიაც თანაგრძნობით გვეხმაურება, სადაც კი ჩვენს ხმას მივაწვდენთ. სოციალისტური მთავრობა უდგას სათავეში ჩვენს დამოუკიდებელ რესპუბლიკას და იგი არ მისდევს ძველ ბურჟუაზიულ შაბლონით შემუშავებულ გზას... იგი ჭეშმარიტი დემოკრატიული ენით ელაპარაკება მტერსა და მოყვარეს და ეს დემოკრატიზმი ვერ მოუნელებიათ იმათ, ვინც იმპერიალიზმის მოტრფიალეა, ვინც ბურჟუაზიულ აზროვნებით გაჟღენთილია.

ჩვენი მთავრობა ინტერნაციონალური იდეების მატარებელია და ყველა რუსის ნაციონალისტებს გულში ლახვარივით ესობა -

რომ იგი ერთა შორის მტრობის ნაცვლად ერთა დამეგობრებისათვის სდგას გადამჭრელ ნაბიჯებს.

და აი ამიტომ სისინებს გარშემო გესლიანი ხმა შურისა, მტრობისა და ჭორიკანობისა.

ჩვენი მთავრობა, როგორც მიმდევარი მარქსიზმისა აღიარებს და ანხორციელებს ერთა თავისუფლების პრინციპს: ძველი რუსეთის ბატონობით გაზვიადებულთ არ ჰსურთ ამ თავისუფლების მიერ თავისი ბატონობის შეკვეცა მოითმინონ და ისინი იარაღით, დარბევით, დანგრევით გვემუქრებიან.

მაგრამ ჩვენი რესპუბლიკა ყველა ამ მტერსა და მოძულეს უმკლავდება.

მას აქვს საამისო მორალური ძალა, აქვს ფიზიკური საშუალებაც. მთელი დემოკრატია მას ერთსულოვნად უჭერს მხარს. და ეს გარემოება - წყარო მისი ძლიერებისა, არის იმავე დროს მიზეზი მის წინააღმდეგ ყველა არა დემოკრატიული ელემენტების ამხედრების.

წმინდა კლასიური თვალსაზრისით, ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მატარებელნი ვერ შეურიგდებიამ დემოკრატიის ნაგებ ნაშენს, მის შემოქმედების ნაყოფს.

დიახ, ჩვენი რესპუბლიკა - ეს ღვიძლი შვილია ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი დემოკრატიის იგი მისი სისხლით და ოფლით ანაშენია. იგი მისი აღზრდა-გაწვრთნის ნაყოფია და თან მისი წინ სვლის და განვითარების საუკეთესო სკოლაა. დემოკრატიული რესპუბლიკა - ეს 20-30 წლის ოცნებით, ბრძოლით, ტანჯვის მონაპოვარია. იგი რევოლუციის მადლის შემარჩენელია, მასში ისახება ყოველივე, რაც დიდმა რევოლუციამ მისცა ჩვენს მებრძოლ, რევოლიუციურ დემოკრატიას, დამოუკიდებელი რესპუბლიკა - ესაა განსახიერება ყველა იმის, რაც ჩვენთვის ძვირფასია, რაც ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა - ეს რევოლიუციის იდეების მატარებელია, ამ იდეების განმახორციელებელია იმ დროს, როცა გარშემო რეაქაცია და ანარქია - ეს ორი ტყუპი ძმა, სისხლით შეღებილნი ძაძებში ხვევს თავისუფლებას.

დიახ სიმბოლოა თავისუფლების ჩვენი პატარა რესპუბლიკა და იგი მეექვსე თვეზე ერთი-ორათ უფრო ძვირფასია ჩვენთვის, ვინემ გამოცხადების დღეს იყო.

მომავალშიც, იგი ჩვენი მხნე დემოკრატიის, მუშათა კლასის და საერთოდ მშრომელი ხალხის გულის ნადების გამომხატველი დარჩება, მისი იდეების მოსამსახურე, მისი ინტერესების დამცველი და ამით მტკიცე, შეურყევლათ ჩაუყრის მომავალს ბრწყინვალე წყობილებას, რომელიც საკაცობრიო იდეალებით არის გაშუქებუ-ლი.

„ერთობა“, 1918 წ. 1 დეკემბერი, N 261, გვ.1

დამოუკიდებლობა

კ. კაუცკიმ, დიდი ხანია წამოაყენა ერთი აუცილებელი პრინ-ციპი: ერთი ერი - ერთი სახელმწიფო, აი საუმჯობესო ფორმულა სახელმწიფოს აშენებისა. მაგრამ იმპერიალისტური ქვეყანა ამას არ დაგიდევდა. იქ ძლიერი იპყრობდა სუსტს და უკანასკნელთ ხშირათ სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა რომელიმე ძლიერი მეზობლისთვის შეეფარებინათ თავი, ამ რიგათ რუსეთს ბევრი ერი შეეკედლა, ბევრი თვით რუსეთმა ძალით „შემოიკედლა“, ასე კაუცკის პრინციპის განხორციელება შეუძლებელი გახდა. ჩენ ვამბობდით, ერს უფლება აქვს თავის ცხოვრება როგორც სურს ისე მოაწყოს, მაგრამ, საქართველოს დემოკრატიას, უმატებდით ჩვენ, არ გვაქვს ინტერესი ამ ჟამათ ცალკე წასვლის, ან სეპარაციის... ჩვენ გვინდა რუსეთის ხალხთან, დემოკრატიასთან ერთად ვეძიოთ ჩვენი საუკეთესო მომავალი. რუსეთი უფრო დაწინაურებულია, იქ უკეთესი წყობილება იქნება და მისი მადლი ჩვენც გვეფინება მეთქი. ჩვენ ვეკვროდით რუსეთს, როგორც უკეთესი წყობის და მყუდრო ცხოვრების მომცემს, ვიდრფე ჩვენ გვქონდა.

ამ უკეთესის მოლოდინში ვიბრძოდით რევოლიუციისათვის. მივაღწიეთ კიდეც რამდენიმეთ მიზანს. რევოლიუციამ ძლევამოსილი ფრთა გაშალა რუსეთის სივრცეზე. ჩვენ მას

შევხაროდით, შევტრფოდით, მთელი ძალღონით მხარს ვუჭერდით, თავს ვევლებოდით, საუკეთესო იმედები მისკენ იყო მიპყრობილი.

მაგრამ არ გაგვიმართლდა იმედი, არ ასრულდა ჩვენი ოცნება. სურვილმა ვერ მობვცა ის, რაც გვინდოდა. ჩვენ გვეშინოდა ანარქიის, კონტრრევოლიუციის, რუსეთში ერთიც და მეორეც გაბატონდა. ჩვენმა დემოკრატიამ კი შეირჩინა რევოლიუციის ძალები. რა უნდა გვექნა ასეთ პირობებში?

ჩვენ დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ. ეს ერთად ერთი გზა იყო. დამოუკიდებლობა - ეს ახლა უდრის ჩვენთვის დემოკრატიზმს, უდრის წესრიგს, რევოლიუციის მონაპოვარს, ყველა იმას, რისთვისაც 20-30 წლის განმავლობაში ვიბრძოდით. დამოუკიდებლობის უარყოფა და რუსეთის მღვრიე წყალში გათქვეფა - დღეს დღეობით მაინც ნიშნავს ანარქიის გამეფებას, რეაქციის მსხვერპლად გახდომას; ერთი სიტყვით, თვის ხელით ყელის გამოჭრას. და განა იმისათვის ვიბრძოდით, რომ ჩვენი ნაშრომი წყალში გადავყაროთ? რომ რუსეთს ჩვენი ძალა აღადგენდეს დემოკრატიულ ფორმებში, ეს კიდევ მესმის. მაგრან განა წარმოსადგენია ასეთი პერსპექტივები?

მორალურათ ჩვენ ეხლაც მათთან ვართ, ვინც რუსეთში დემოკრატიზმის წრფელი დამცველია. ზნეობრივი ჩვენი დახმარება ახლაც მათ მხარეზეა. იმაზე მეტის მოცემას კი, რაც შეგვიძლია, ვერავინ მოგვთხოვს. ჩვენ გვირჩევენ ერთ რამეს: თვითონაც იმ წყალში ჩავცვივდეთ, რომელშიაც რუსეთი იხრჩობა. ეს შეიძლ;ება დიდი გმირობა იყოს, მაგრამ დიდი სისულელეც იქნება: დემოკრატია მოსპო და ახალი კი არ შეიძინო, განა მეტი უაზრობა გაგონილა? ბანა ამას გვაპატიებს ხალხი, ისტორია, ან ჩვენი სინდისი?

ნახევარი წელია ჩვენ დამოუკიდებლათ ვცხოვრობთ. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ჭირი ვნახეთ: შინ არა ერთი კუთხე აგვიჯანყდა, გონსრეაქციონური და ანარქისტული ელემენტების წყალობით. მაგრამ მუშათა მარჯვენამ ისინი ჩააჩუმა. შეცდომილნი შეეცადნენ გონს მოგვეყვანა, შემცდენელნი კი თავიდან მოგვეშორებია, როგორც ქვეყნის ამრევი ძალა. გერმანელთა ჯარები

შემოვიყვანეთ, მაგრამ მთელი ძალღონე მოვახმარეთ, რომ ჩვენში უკრაინის ამბები არ დატრიალებულიყო. სოციალურ რეფორმებზე ხელი არ აგვიღია, პირიქით, მათ ვაწარმოებდით. მიწები ჩამოვართვით მემამულეთ და გლეხებს გადავეცით ჯერ დროებით, მალე კი შევუდგებით მათ საბოლოოთ დანაწილებას.

ერობა შემოვიღეთ იქ, სადაც გარდა ბოქაულისა, ხალხს არავითარი მთავრობა არ უნახავს; შინაური ცხოვრება ერთიანად აწეწილი, ოდნავ ჩავაყენეთ კალაპოტში. ფოსტა-ტელეგრაფის და სკოლების გახსნას მივყავით ხელი. დამფუძნებელი კრებისთვის მზადებას შევუდექით და ეს სულ ექვსი თვის განმავლობაში. განა შეიძლებოდა მეტის გაკეთება? არარაობისაგან რაღაცა შევქმენით. და ყველაფერს, რასაც ვაკეთებდით საფუძვლად

„ერთობა“, 1918 წ. 1 დეკემბერი, N 261, გვ.1.

გიორგი გვაზავა. ერი და თავისუფლება

ოცდა ექვს მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

დაუვიწყარი დღეა!

ასი წლის მონობამ მოადუნა ქართველი ერის სხეული და შეუხუთა კუნთები; უკიდურესმა კლასობრივ ბრძოლის მოძღვრებამ მის გონებას გადაუბნია ისეთი ბურუსი, რომ ამ ბურუსში კინაღამ ჩაიმარხა უაღრესი ღირებულება - ეროვნული განთავისუფლება. მაგრამ ალბად არის რაღაც საიდუმლო ძალა, რაღაც იდუმალი განგება, რომელიც ჰქმნის ისტორიას და მიაქანებს მთელს კაცობრიობას, მისდა დაუკითხავად, თავისუფლებისა და მსოფლიო ძმობისაკენ.

აქ ახალი არაფერია. თავისუფლება ყოველთვის იყო სანატრელი, ყოველთვის ითხოვდა მსხვერპლს და სისხლს, მაგრამ როგორც უზენაესი პრინციპი ცხოვრების და საერთაშორისო განწყობილებისა პირველად იყო გამოცხადებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ. საფრანგეთიდან ეს პრინციპი წამოვიდა ნაპერწკლეპივით და მოედო მთელ ევროპას, აამოძრავა სხვადასხვა დამონებული

ერები და შეარყია სხვადასხვა სახელმწიფოები. ევროპამ რასაკვირველია ბრძოლა გამოუცხადა და გამწარებით აქრობდა აქ-იქ გადმოცვენილ ნაპერწკლებს. ვენის კონგრესი (1815 წ.) და მის მიერ დადებული ხელშეკრულებანი უტყუარი საბუთია იმ საშინელი რეაქციისა, რომელიც გამოიწვია ერთა განთავისუფლების იდეამ და რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ახრჩობდა ყოველ ეროვნულ მოძრაობას. ბოლოს მაინც გაერთიანდა გერმანია, განთავისუფლდა იტალია, იგემეს ეროვნული განთავისუფლება ბალკანეთის სხვადასხვა ერებმა... და ბოლო დროს ამ მსოფლიო მოძრაობის იდუმალ ტალღამ მოაღწია ჩვენს ქვეყანამდეც.

მსოფლიო ომმა დაანგრია რუსეთი, დაამსხვრია მონობის ჯაჭვი და საქართველოს მოდუნებულმა სხეულმა იგრძნო თავისუფლება.

მაგრამ იგრძნო კი? ვაი თუ ვერა. სიბნელეს მიჩვეული თვალი ხშირად სინათლეს ვერ იტანს, მონობას მიჩვეულ ადამიანს ერთხანს რჩება მონური მიდრეკილება, იგი ბატონს ეძებს, იმას უბატონოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, იგი დარწმუნებულია, რომ ბატონი უსათუოდ მოვა, მხოლოდ არ იცის ვინ იქნება ის ბატონი: რუსი, თურქი, ინგლისელი თუ გერმანელი?! ამ სამსრცხვინო ფსიხოლოგიის შექმნაში ჩვენც დიდი ბრალი მიგვიძღვის. თუ ყველა არა, ერთი ნაწილი ჩვენი მოღვაწეების სულ იმის ქადაგებაში იყო, რომ სამშობლო არ არის, რომ იგი მოგონილია მხოლოდ ბურჟუაზიის და აზნაურების მიერ, და როცა დადგა საშინელი წამი მამულის დაცვისა (მოიგონეთ თუნდაც ბათუმის დაკარგვა), ერთი ნაწილი ჩვენი ჯარისა სამარცხვინოთ გამორბოდა. მართლაც, თუ სამშობლო არ არის, ვის და რისთვის უნდა შევაკლათ თავი?! ჩვენ ამოვფხიკეთ ხალხის გულიდან მამულის სიყვარული და გმირების ქვეყანა გადავაქციეთ მონების ქვეყანად.

მაგრამ მოქმედებს საიდუმლო ძალა და ჰქსოვს ეროვნულ სულს. ჩვენ გვყავს ჩვენი პარლამენტი, ჩვენ მოვაწყეთ ჩვენი მთავრობა, ადმინისტრაცია, სასამართლო; ჩვენ შევქმენით ეროვნული

ჯარი და ყოველ წამს მზადა ვართ დავიცვათ საქართველოს საზღვრები.

გონებას უვლის ცეცხლის რკალები და ჟრუანტელი - ძველთა სამარეს.

რასაკვირველია, ბევრი რამ გვაკლია, ჯერ კიდევ გვჭირია დიდი შრომა, თავგანწირული მუშაობა და მიზანშეწონილი მოქმედება. ბევრი რამ არ არის გაკეთებული როგორც რიგია, ბევრი - ხელახლად დასანგრევია და ხელახლად ასაშენი, მაგრამ რაც გინდა იყოს პესიმისტობას ადგილი არა აქვს. შინაგანი სახელმწიფოებრივი კონსოლიდაცია უნდა მოხდეს, ეს აუცილებელი პროცესია, მაგრამ დიდი შეცდომა იქნება თუ მარტო პროცესს მივენდევით და თვით ჩვენი შრომით და მოქმედებით არ ავაჩქარეთ ეს პროცესი.

იაპონიაში აგროვებდნენ ბავშვებს და იმათ სკოლებში უხსნიდნენ ცუსიმის ბრძოლას და მის მნიშვნელობას იაპონიისათვის. უკაცრავად ვარ, თუ შევადარებ ჩვენს სოფლის და ქალაქების მუშებს ამ ბავშვებს და თუ საჭიროდ დავინახავ ისეთივე ახსნას და განმარტებას: თუ რა არის პოლიტიკური თავისუფლება ერისა. ჩვენ ბევრსა ვყვირით ჩვენს დემოკრატიაზე და დემოკრატიზმზე. მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ჯერ კიდევ რიგიანად არა აქვს ხალხსა შეგნებული ეს დიადი ღირებულება. ხალხი თეორიას არ მისდევს, იგი უსაშუალოდ სჯის და ეხლანდელი ცხოვრების სიდუხჭირე ხშირად ჰგონია სწორედ შედეგი ამ თავისფლებისა. განა ახლაც არ ისმის აქაიქ უმეცარი ხმები: რა მოგვიტანა თქვენმა ქებულმა რევოლუციამ? რა ჰყრია თქვენს თავისუფლებაში? პური არა გვაქვს, შეშა არა გვაქვს, შიმშილით და სიცივით ვიხოცებითო?! არ უნდა ავუხსნათ, რომ ამ მოვლენებს არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკური განთავისუფლებან? არ უნდა გავაგებინოთ ხალხსა, რომ სიმშილი და წყურვილი გამოწვეულია სულ სხვა მიზეზებით, რომ ეს შედეგია არა პოლიტიკური თავისუფლებისა, პირიქით, სწორედ იმისი, რომ ეს თავისუფლება ჯერ არ არის სრულიად დამყარებული და გატარებული ცხოვრებაში და საერთაშორისო განწყობილებაში: არ არის თავისუფლება მისვლა-მოსვლის, აღებ-მიცემობის, ვაჭრობის

და სხვა. შინ ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული ავტორიტეტი ჩვენი მთავრობისა, იმის მოქმედებას ჯერ კიდევ წინ ეღობება სხვა და სხვა მოწინააღმდეგე ელემენტები. ჯერ კიდევ არა ვართ ყველას მიერ ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამიტომ როგორც შინ, ისე საერთაშორისო არეში არეულია და აწეწილ-დაწეწილი ეკონომიური და კულტურული ძალები.

თავისუფლება სწორედ იმიტომ გვინდა, რომ ბოლო მოეღოს ამისთანა მდგომარეობას. მაშინ ბოლო მოეღება სიმშილსაც და წყურვილსაც. ამოძრავდება ეკონომიური და კულტურული ძალები და ცხოველმყოფელი სულთქმა თავისუფლებისა ერთიანად გარ-დაქმნის ჩვენს ცხოვრებას. ჩვენ მართალია პროლეტარები კი არა ცართ, ჩვენ გვაქვს აღურიცხველი მილიარდის ქონება. იგი აქ აწყვია ჩვენ წინ, თქვენ ფეხქვეშ. იგი დამალულია ჩვენს მთებში, ჩვენს მი-წაწყლებში და ჩვენს ჰაერში. უნდა მხოლოდ ცოდნა და განვითა-რება, რომ მოვიხმაროთ ეს დიადი ქონება, უნდა თავისუფლება, რომ ცოდნაც მივიღოთ და განათლებაც, რომ ხელს არავინ გვიშ-ლიდეს ამ დიადი შრომის დუღილში და ჩვენვე შევქმნათ ჩვენი სიმ-დიდრე და ბედნიერება.

ამისთვის საჭიროა, რომ ხალხმა გაიგოს ნამდვილი შინაარსი მომხდარი რევოლუციისა. „ინტერნაციონალი“ კარგია თავის დრო-ზე და თავის ადგილას, მაგრამ მარტო „ინტერნაციონალზე“ ყვირი-ლი არის დამარხვა და დასამარება ჩვენი პოლიტიკური თავისუფ-ლებისა. სახელმწიფო არ არის საკუთრება ერთი რომელიმე კლა-სისა. სახელმწიფო ყველასია, სახელმწიფო მთელი ერისაა; ამიტომ მთელმა ერმა უნდა შეიგნოს, თუ რა დიადი ღირებულებაა პოლი-ტიკური თავისუფლება.

როცა გრგვინავს, ჩვენში ამბობენ, - წმინდა გიორგი მიაქრო-ლებს თავის რაშსაო. ხალხის შეგნებაც უნდა იყოს ღრმა და ბრწყინ-ვალე, როგორც ცის კამარა; თეთრი გიორგი, ემბლემა თავისუფალ საქართველოსი, უნდა იქ დააქროლებდეს თავის რაშს, უნდა ის-მოდეს განუწყვეტელი გუგუნი ხალხის გულში და გონებაში ეროვ-ნული ღირსების და ეროვნული პატიოსნებისა.

მაშინ მონების ქვეყანა გადაიქცევა ისევე გმირთა ქვეყანად.
გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
გაუმარჯოს ხალხოსნურ რესპუბლიკას!
„საქართველო“, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 4 N 232, გვ.1.

დამოუკიდებლობის განმტკიცება

ნახევარ წელზე მეტმა განვლო კიდეც მას შემდეგ რაც საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ამ ხნის განმავლობაში დიდმნიშვნელოვანი ფსიხიური და საგნობრივი ცვლილებები მოხდა ჩვენში და ჩვენს გარშემო. ის ადამიანები, რომელნიც დღეს სახელმწიფოს ხელმძღვანელობენ აუცილებელ ბოროტებათ აღარ სთვლიან ეროვნულ სახელმწიფოს. სოციალ-დემოკრატები აღარ ამბობენ, რომ დამოუკიდებლობა ერთგვარი უბედურებაა გარეშე პირობების მიერ ნაკარნახევი. პირიქით: უკანასკნელ დღეებში, როცა ზოგიერთი ჩვენი მტერ-მოყვარის წარმოდგენით ჩვენს დამოუკიდებლობას ხსენებულ პირობებისაგან ვითომდა დიდი საფრთხე მოევლინა, ყველაზე მეტად საქართველოს მთავრობა შეშფოთდა. თვით უკიდურესმა ინტერნაციონალისტებმა დააფასეს ეროვნული სახელმწიფოს ღირებულება.

დღეიდან პატრიოტიზმი აღარ არის რჩეული უმცირესობის პრივილეგია. სწორედ დამოუკიდებლობის გამოცხადების ნახევარი წლის თავზე დაარსდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია. საფიქრებელია, რომ ამიერიდან პოლიტიკური ბრძოლა ჩვენში იწარმოებს არა ეროვნული იდეის ცნობისა ან უაეყოფისა, არამედ სოციალური საკითხების გარშემო და მოხდება ახალი პარტიული გადაჯგუფება სახელმწიფოებრივ შეგნებისა და იდეოლოგიის მიხედვით. ყველა მომქმედ ქართულ პარტიებს დაეტყო კიდეც გაბზარვა, თვით უძველესი და უმტკიცესი მათ შორის აღარ წარმოადგენს ერთს მთლიან მონოლიტს.

შინაგან კონსოლიდაციასთან ერთად მოხდა საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებაც. საქართველო ბედნიერ ოაზისათ გარდაიქცა ყოფილი რუსეთის უსაზღვრო უდაბნოში.

ჩვენმა დემოკრატიამ გამოააშკარავა უძველესი სახელმწიფოებრივი აღმაშენებითი ძალა, რომელიც სთვლემდა საუკუნეების განმავლობაში. ეს დააფასეს ევროპიელმა კულტუროსანმა სახელმწიფოებმა: ზოგიერთმა მათგანმა ჩვენი დამოუკიდებლობა სცნო, ზოგიერთი უეჭველია სცნობს ახლო მომავალში.

მაგრამ მივაღწიეთ კიდეც იმ მომენტს, როცა ჩვენი ბედი და უბედობა ჩვენივე ხელთ არის. ექვსი საუკუნის წინათ ფეოდალიზმისა და ბარბაროსების მიერ დაშლილი სახელმწიფო ხელახლა გააძრიელა დემოკრატიამ და კულტურამ. საქართველო ჩქარის ნაბიჯით მიდის აღორძინებისაკენ.

„საქართველო“, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 6 N 233, გვ.1.

სპირიდონ კედია. ოცდა ექვსი მაისი

ოცდა ექვსი მაისი! იყოს კურთხეულ! ამ დღეს საფლავის სარქველი ამოიღო ას ოცდა ხუთმეტი წლის დამიწებულმა და ქვეყნად გამოვიდა მეოცე საუკუნის კარებში. აიკაზმა და ამზეურდა ათასი წლობის სიცოცხლე, სამარეში რომ ჩაგვისუდრეს მეტრამეტე საუკუნის დასასრულს. გაწყვეტილი ჯაჭვი გამთელდა.

ქართველი ერის უკვდავებამ ხორცი შეისხა. საქართველომ პიროვნება დაიბრუნა, წარსულს შეედუღა, წინაპართ შეუსხეულდა ხორცით, სულით, გრძნობით,. ძარღვ-სისხლით! შენივთდა განუზომელი დუღაბი ნათელი მომავალის აღმოსაყვანად.

ცეცხლსა და მახვილს უნდა მოეცო კიდითი კიდე დედა-მიწის ბატონთა საბრძანებლები, რომ შობილიყო საქართველოს თავისუფლება. ექვსი თვეა რაც საქართველოს დამოუკიდებლობის მზე უნათებს. ფარულის ენტუზიაზმით და მიუგნებლის სიმტკიცით საქართველო ამკვიდრებს თავის თავს, თავის მარადისობას.

უკვირს ყველას, უკვირს და შურს და მტრობს და ებრძვის მას. მაგრამ უხილავი ძალა თავისას განაგრძობს. ეს ძალაა საქართველოს მეუფეობის ტრადიცია. „ტრადიცია!“ თითქოს სიტყვაა ცარიელი და სხვა არაფერი. არ აქვს არც საგნობა და არც ნივთობა. არც სასწორზე

აიწონება და არც არშინით განიზომება და აბა ვინ ცნას მისი რეალობა წონისა და ზომის საუკუნეში?!

მაგრამ რეალურად სწორედ იგია, რომ მუშაობს ჩვენში, რეალურად სწორედ იგი იმარჯვებს.

თანამედროვე ცოდნა, განათლება, ტეხნიკა - ჩვენში უფრო ნაკლებია, ვიდრე ბევრს სხვაგან, სადაც ხალხები თავიანთ ქვეყნებს პირქვე ამხობენ და აჩანაგებენ.

ჩვენ კი ვეწყობით და ვაშენებთ, - ჩვენ ვიმარჯვებთ - ტრადიციით, წარსულის ნაწრთობი ხასიათით. იგი კი ნაწურია მრავალ საუკუნეთა საღი და გონიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრების. მრთელსა და ღრმა ფესვებზე ვდგევართ. საზრდო და საკვები ბლომად შემოდის წარსულიდან ჩვენს სხეულში, - ეგ არის საწინდარი ბრწყინვალე მომავლისა.

ამ საყოველთაო ნგრევის ხანასი ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ მას აქვს შემოქმედების საიდუმლო და მომავლის ძარღვი.

და საქართველოს პარლამენტი ამას დღესასწაულობს ექვსი თვის დამოუკიდებლობის თავზე. რა მოკლე მანძილია, მაგრამ რა გრძელია და ღრმა თვისი განცდით!

საქართველოს ხალხნო! ვიზეიმოთ და ერთმანეთს მოულოცოთ საქართველოს აღდგენა.

ვიზეიმოთ და ერთმანეთს მიულოცოთ მისი უკვდავობის და მარადისობის ხორც შესხმა.

გაიხარევით და იზეიმეთ ტურფა ბაღნარის ასულნო და ძენო!

მაგრამ ზეიმმა მტრები არ დაგვავიწყოს, მოვალეობა არ მიგვიჩრდილოს.

ვიფხიზლოთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ სამშობლო ქვეყნის მარად დამოუკიდებლობისა და აყვავებისათვის!

ამინ!

„საქართველო“, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 6 N 233, გვ.1.

არც გვრცხვენია და არც გვეშინია!

დეკემბრის 1 როგორც 26 მაისი სამარადისო დარჩება ქართველი ერის ისტორიაში. 1917 წლის 22 ნოემბრის გაუბედავი ნაბიჯი ქართულ პოლიტიკურ ჯგუფებისა ისტორიის მოძრაობაში გარდაიქმნა საქართველოს ნაბიჯად, ქართველ ხალხის ბჭედ, რომელსაც გაბედულად დაეყრდნო საქართველოს მუდამ ფხიზელი, მუდამ მოძრავი დემოკრატია. დეკემბრის 1 ქართველ ერის ძალამ - პირველმა პარლამენტმა რეტროსპექტიულად გადახედა თავის ხანმოკლე, მაგრამ შინაარსით აღსავსე წარსულს და მთელი ქვეყნის წინაშე გაბედულად გამოაცხადა: ჩვენი ბრძოლის და შემოქმედების არც გვრცხვენია და არც გვეშინია!

„არც გვრცხვენია და არც გვეშინია!“ - სრული, ქართველური დახასიათებაა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლისა. ეს დახასიათება ეკუთვნის საქართველოს პირველ პარლამენტის უბადლო თავმჯდომარეს - რუსეთის რევოლუციის წიაღში გაკაჟებულ კარლო ჩხეიძეს. ქართველი ერის გამობრძმედილი სინიდისი, ისტორიის კალთებში გაჭედილი გამბედაობა გამოხატა ამ ორ სიტყვაში კარლო ჩხეიძემ. ამ ამოძახილმა საქართველოს პარლამენტი სავსებით შეიბოჭა და დარბაზის ბჭეებმაც განიცადეს ამ სიტყვების სიმართლე და გრძნობანი.

განვლილი ექვსი თვის განმავლობაში ქართველ ერს ბევრი მოყვარე ჰყოლია, მრავალს განუცხადებია მეგობრობა, ესოდენივე გამოგვაჩნდა ორგული და მოქიშპე, ბევრს კეთილად გაუწოდეთ ხელი, ბევრსაც ღირსეულად უთხარით - „ხელი შორს“, მაგრამ დღეს, როცა განვლეთ ასეთი წიდილის ხანა, ცივად ვათვალიერებთ ნამოქმედარს, თამამად ვეტყვით მეგობრებს: - არა გვრცხვენია ჩვენი შრომისა, ჩვენი პატიოსანი სიტყვისა, ვინაიდან არც ერთ შემთხვევაში არ გამოგვიჩენია მუხანათობა, გაიძვერობა და ენის წვერზე არ გამოგვიტანია რაც ტვინში და გულში არ გვქონია ჩაბეჭდილი. მტრებისიც არ გვეშინოდა ისტორიულ წარსულში და ეხლაც, რაც ჩვენს წინაშე ახალი სილიუტები იმართებიან გამოუცნობ მეგობართა და მტრებისა - თამამად ვამბობთ - არ გვეშინიან!

არსებითი მნიშვნელობა ამ ისტორიული ამოძახილისა ის არის, რომ პოლიტიკურ პამპულების დეკლარაციის სულს არ შეადგენს იგი ამოძახილი. ქართველობის ზნეობრივი ენერგია, ერთ ჯიღში მოქცეული, ამავე დროს მთელ ერის თავდადება სამშობლოსათვის, დიდ ქონებრივ და ეკონომიურ შესაძლოების გამაგრების მასალად გამოიყენება იმ ძალას წარმოადგენს, რომლითაც „არ გვეშინიანის“ ამოძახილს რფეალური საფუძველი ეძლევა.

ნ. ჟორდანიამ კარგად სთქვა - ქართველობა ყოველთვის ევროპისაკენ მიისწრაფოდა და როგორადაც არ უნდა შეიცვალოს ისტორიის ჩარხის ტრიალი ჩვენი თვალი იქნება ევროპისაკენ, ევროპის დემოკრატიისაკენ და ამ გზაში ქართველობა თავის სახეს და ინტერესს არ დაჰკარგავს. აი წს სწორი, გაბედული, გადაჭრილი პოლიტიკა წარმოადგენს კიდევ იმ საფუძველს, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვაცხადოთ: - მომავალის არ გვეშინიან!

დეკემბრის 1 საქართველოში დღესასწაული იყო. ქურქში გახვეული პოლიტიკური ტურები განზე გადგნენ და გაზეთებშიაც არ აღნიშნეს ქართველ ერის სიხარული. საქართველოს ძლიერების დემოკრატიული მხარე: გაწვრთნილი ჯარი, დარაზმული გვარდია, დისციპლინით შეკავშირებული მილიცია და სიცოცხლით აღსავსე ქართველი ხალხი - ყველას ეუბნებოდა, რომ საქართველოს მტრებს კიდეც უნდა რცხვენოდეს და კიდეც უნდა ეშინოდეს, რათა მათ საქმე აქვთ ზნეობრივად და მატერიალურად შექმნილ სახელმწიფოსთან, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს ბრძოლას თავისუფლების, სამართლის, წესიერების და დემოკრატიის წინააღმდეგ.

იმედები, იმედები, უსაზღვრო სასოება და მუშაობის ხალისი ვიგრძენით დეკემბრის პირველს. რა ქარტეხილიც არ გადაიაროს ჩვენს სამშობლოს კალთებზე ჩვენი ხალხი სწორ გზას დაადგა, ნაციონალური და ინტერნაციონალური პოლიტიკა კულტურულად ერთმანეთს ექსოვებიან და ამ პოლიტიკის განვითარებით ჩვენი მომავალი, ბრწყინვალე მომავალი - უდავოა.

ვიშრომებთ, ვიბრძოლებთ, ვიცოცხლებთ და ამ მრწამსით ისევ ვიწყებთ მოღვაწეობას, ბრძოლას, სიცოცხლეს, დარწმუნებულ-

ნი, რომ შრომა ქმნის არა მარტო მატერიალურ სიმდიდრეს, ზნეობრივ და პოლიტიკუს სიმდიდრესაც.

„სახალხო საქმე“, 1918 წ. 3 დეკემბერი, N 399, გვ.1.

ქართული პრესა

აღსანიშნავია, რომ არც ერთმა რუსულმა გაზეთმა ერთი სიტყვითაც არ მოიხსენია საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი თვის თავი გარდა „ბორბის“ და „გრუზიისა“. გაზეთ „ერთობაში“ ორი მოწინავეა დღესასწაულის გამო...

„სახალხო საქმე“, 1918 წ. 4 დეკემბერი, N 400, გვ.2.

საქართველოს ექვსი თვის დღეობა

იქ, სადაც გაიჭედა ქართველი ხალხის მონობის მწარე უღელი, იქ სადაც ასის წლობით, ბინადრობდნენ ადამიანთა სწორ-უფლებიანობის მოწინააღმდეგენი, ყოფილ ტირანთა სამფლობელო სასახლეშივე ასი წლის მონობის შემდეგ გაიმარჯვა ქართველმა ერმა და იქვე გამოიჭედა ქართველი ერის ბედი, დამოუკიდებელი და ისტორიული საქართველო; სადაც იზეიმა, იდღესასწაულა, პირველი დეკემბერი, ქართველმა მშრომელმა ხალხმა.

ამ სანეტარო დღეს, ღიმ-მორეული იყო მშრომელი ხალხი, ყველას სახეს სიხარულის დაღი აჩნდა. შეგროვდნენ სასახლის ეზოში: თითქოს აღდგომაო, ლიტანია უნდა შემოუარონო; მაგრამ განა იმის უკეთესი აღდგომა კიდევ შეიძლებოდა, რომელიც 1918 წლის 1 დეკემბერი იყო! ქართველი ხალხისთვის ჩემს გულთან ერთად, დარწმუნებული ვარ, სხვისი გულიც ათასობით სცემდა ამ დიადი დღისთვის, როგორიც იყო 26 მაისი და პირველი დეკემბერი; საქართველო უნდა მივიდეს იმ საერთო ოჯახში, სადაც იქნება დამყარებული, სწორუფლებიანობა და სამართლიანობა; აი მიზანი ქართველი ერის მისწრაფებისა.

მე მგონია ნახეს ის მოზღვავებული ურიცხვი ხალხი, საქართველოს პარლამენტის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდგეებმა და ცილის მწამებლებმს; ყოფილა თუ არა საქართ-

ველოს დამოუკიდებლობა ქართველი მშრომელი ხალხის, ნების ყოფითი გამოხატულება? ეხლა მაინც დარწმუნდებიან, თუ გადაავლეს თვალი იქ მოზღვავებულს ხალხს, რომ ასეა, სიხარულით უსმენდნენ ორატორებს, თუ სიძულვილით? ურჩევნიათ დაანებონ თავი მახინაციას და დაასვენონ მოუსვენარი ენა, საქართველოს წინააღმდეგ მოსისინე: თორემ ქართველი მშრომელი ხალხის წინამძღოლნი, არ სცდებიან როგორც ეს საქართველოს მოწინააღმდეგეებს ჰგონიათ; ისინი ანგარიშს უწევენ იმ მოვლენას, რაზედაც შენდება, ერთეული სახელმწიფო, და ხალხთა მშვიდობიანობა.

შეიძლება ითქვას, მართლაც ერთ დროს, ყურს უგდებდენ, ზემოთ ნახსენებ მოსისინეებს! ერთი ძლიერი პარტიის წარმომადგენელნი საქართველოისა; მაგრამ ისინი მალე დარწუნდებიან რომ ისინი მართლა, ორგული მოსისინენი იყვნენ ჩვენი ქვეყნისა, ამიტომ უფრო სწორი და საღი გზა გამოსძებნეს, რომელზედაც დღეს დღეობით მიდიან, ეროვნულ სოციალისტურად... ჩვენ ამას ვამბობდით თავიდან, ამ გზას თუ გაჰყვნენ ქართველი მშრომელი ხალხის მესვეურნი მათ მხარეზე იქნებიან უკანასკნელნიც.

მაგრან მე კიდევ პირველი დეკემბერი მაგონდება, ტკბილად, იმ დღევანდელი ორატორები. ჭაღარა კ. ჩხეიძე ამაყად გაჰყვიროდა, მე არც მისი მეშინია რომ საქართველო დამოუკიდებელია, და არც მისი მრცხვენია, რომ მას ნამდვილი სახელი, საქართველო, ჰქვიანო.

ამ მშვენიერ სურათის ცქერით დამთვრალი, თითქო ოცნებაში მეგონა თავი და თანაც ვფიქრობდი, ნუ თუ ეს ის ჩხეიძეა, რომლის ბაგესაც, ძალიან იშვიათად წამოსცდენია სიტყვა საქართველო? ბოლოს დავრწმუნდი რომ ცხადი იყო. მომაგონდა წარსულიც, რამდენი წამებულა ამ სახელის ხსენებისთვის? მაგრამ ამ მოგონებას აქარწყლებდა გრძნობა ახალი სიხარულისა.

მუშა ევსევი კევლიშვილი.

„სახალხო საქმე“, 1918 წ. 6 დეკემბერი, N 401, გვ.3.

საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი მტერნი

ნახევარი წელი ცხოვრობს საქართველო დამოუკიდებელი, სუვერენული ცხოვრებით. ამ ხნის განმავლობაში, მან საკმაოთ გამოააშკარავა თავისი პოლიტიკური ნიჭი და შემოქმედებითი მუშაობის უნარი. საქართველოს ხალხმა დასძლია უდიდესი დაბრკოლებანი.

დამოუკიდებელმა დემოკრატიულმა საქართველომ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და თავისუფალი განვითარების გზა გაუხსნა დემოკრატიას. მან ფრთები შეაჭრა ანარქიის შესაძლებლობას, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა მომავლის საუკეთესო პერსპექტივებს უსახავს საქართველოს ხალხს. მაგრამ, დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს ძლიან ბევრი მტერი ჰყავს.

მტრულად ეკიდებიან საქართველოს დამოუკიდებლობას რეაქციონური წრეები და კერძოთ ის მოხელეები, რომლებიც დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან ნაციონალიზაციის განმტკიცების და მოსამსახურეთა შტატ. შემოკლების გამო. ესენი ათასგვარ ცილისწამებას და პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ საქართველოს შესახებ. ისინი სასოებით შეყურებენ რუსეთის რეაქციონერებს, რომლებიც თავის მხრივ კბილებს უღრჭენენ საქართველოს რესპუბლიკას.

არა ნაკლებ მტრულათ უცქერიან საქართველოს დამოუკიდებლობას მოსაზღვრე ერების ნაციონალისტები. ისინი კარგათ ხედავენ, რომ დემოკრატიული და დამოუკიდებელი საქართველო არ გაამართლებს და გზას დაუხშობს მათ არა სამართლიან მისწრაფებათ, ისინი გრძნობენ დემოკრატიულ საქართველოს ძლიერებას და რადგანაც საკუთარი ძალით ვერ ახერხებენ თავიანთ სურვილების შესრულებას, ცდილობენ გარეშე ძალის დახმარებით მიაღწიონ მიზანს. ამ ჯგუფის სურვილების გამომხატველია სომხის ნაციონალისტური პარტია - დაშნაკციუტუნი. თავის გულის ნადებს ესენი არ ფარავენ.

„ნორ-ორიზონი“, ორგანო დაშნაკელებისა ამტკიცებს, რომ ამიერ კავკასია კვლავ რომელიმე სახელმწიფოს ხელში გადავიდეს, რადგან მაშინ დიდი სომხეთის იმედები კვლავ გაგვიახლდებაო.

ასეთია საქართველოს დამოუკიდებლობის მეორე მტერი. მაგრამ, საქართველოს დამოუკიდებლობას ყავს მესამე მტერიც, რომელიც ეხვევა სოციალისტურ და ინტერნაციონალისტურ სამოსელში და სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმის სახელით მოითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფას. ეს უკანასკნელი თავს იყრის გაზეთ „ზნამია ნაროდა“-ს და „სოციალ-დემოკრატის“ გარშემო. ისინი სულ სხვა მოსაზრებით ეწინააღმდეგებიან საქართველოს დამოუკიდებლობას. მათი აზრით, კერძოთ საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის ხალხების ნორმალური განვითარება შეიძლება მხოლოდ რუსეთის ფარგლებში და რომ ამიერ-კავკასიის არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. ეს ჯგუფი უარყოფს საქართველოს დამოუკიდებლობას თითქოს სოციალიზმის და საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესების გულისათვის. ის ცდილობს უარი ათქმევინოს საქართველოს დემოკრატიას დამოუკიდებლობაზე, მაგრამ იგი უძლურია დაამტკიცოს ამ უარყოფის დადებითი მხარეები საქართველოს დემოკრატიისათვის. ამ ჯგუფის არც ერთი მოსაზრება არ შეეფერება სინამდვილეს. საქართველო უკვე ნახევარი წელი არსებობს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ათასჯერ უკეთ აქვს მოწესრიგებული სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ვიდრე იმ სახელმწიფოს, რომელთანაც შეერთებას თხოულობს ეს ჯგუფი. რაც შეეხება იმას, შესძლებს თუ არა მომავალში საქართველო დამოუკიდებელ არსებობას, ამაზე ჩვენ ვფიქრობთ: თუ კი ისეთი სახელმწიფოები როგორც არიან სერბია, მთაშავეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია, დანია და შვეიცარია ახერხებენ დამოუკიდებელ არსებობას - ეს თავის თავად საქართველოსაც შეუძლია.

ეს ჯგუფი გაჰკივის რუსეთის დემოკრატიულ ფრონტის აღდგენის საჭიროებაზე, მაგრამ კონკრეტათ უძლურია დაგვანახოს ამ აღდგენის შესაძლებლობა ამ მოკლე დროში მაინც, ეს ჯგუფი

იწუნებს საქართველოს მთავრობის პოლიტიკას და მის ყოველ ნაბიჯს აკრიტიკებს, მაგრამ ეს ჯგუფი სრულებით ივიწყებს უფის მთავრობის ოპორტუნისტულ და მპყრობელურ პოლიტიკას და მასთან გაერთიანებას ურჩევს საქართველოს დემოკრატიას.

ალბათ, ეს ჯგუფი ფიქრობს: „Quand licet tvi non licet bovi". რუსეთი ანარქიაშია გახვეული და რეაქციის ძლიერი ნიშნებით გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე დემოკრატიული საქართველო. ასე ფიქრობენ, როგორც სჩანს „ზნამია ნაროდას" და „სოციალ-დემოკრატის" „სოციალისტები".

მათ იციან, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის უარყოფა, არავითარ სარგებლობას არ მოუტანს საქართველოს დემოკრატიას, არც რუსეთის გასაჭირს დიდათ. მაგრამ ისინი ამას ანგარიშს არ უწევენ. არ უწევენ რადგანაც მათ ძლიერ ცუდათ აქვთ გაგებული სოციალიზმის და ინტერნაციონალიზმის ცნება. სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი სრულებით არ მოითხოვს, რომ საქართველო უსასთუოდ რუსეთს შეურთდეს, რატომ რუსეთს და არა სხვა სახელმწიფოს?

რატომ, უსათუოდ რუსეთის საშვალებით უნდა ეზიაროს საქართველო ევროპის კულტურას და ინტერნაციონალურ იდეალებს, როდესაც მას უშუამავლოთ შეუძლია პირველიც და მეორეც?

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია შესაფერისათ დააფასებს ყველა თავის მტრებს და არ გადაუხვევს, მის მიერ არჩეულ ისტორიულ გზას, რომელსაც მიყავს ის ინტერნაციონალით სოციალიზმში.

კალმისტარი

„შრომა", 1918 წ. 6 დეკემბერი, N 93, გვ.2.